

# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

## ოქმი #9

ქ.ონი

25..09.2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბალაშვილი, დავით მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი სულაძე, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკ მაისურაძე, ბექარ მაისურაძე, გელა მეტრეველი, აველი ორდინიძე, როზა ჩალაძე, ალექსანდრე ბერიშვილი.

**არ ესწრებოდნენ:** ბაჩანა მარკოიშვილი, ანა ბაქრაძე, დიმიტრი გომაძე, დავით სხირტლაძე, ღვთისავერ ბაკურაძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, კესო ჩარკვიანი, შორენა რეხვიაშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ირმა სტეფანაძე-იაშვილი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ ასევე: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვალერიან გობეჯიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 დეკემბის #43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი)

2. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

(მომხსენებელი: გივი მეტრეველი - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

**მოისმინეს 1.** „ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 დეკემბის #43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი თინათინ ბროლაშვილი - ონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 დეკემბის #43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დანართი თან ერთვის/

**აზრი გამოთქვას:** გივი მეტრეველმა, ვასილ მეტრეველმა, შუქურა ჯაფარიძემ, ვლადიმერ ჩლაიძემ, სერგო ლობჯანიძემ.

შ.ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სოფელ ბარში ჭიჭინაძეების და გრძელიძეების უბანში არაა მისასვლელი გზები და სასწრაფოდაა გასათვალისწინებელი, ხოლო გ.მეტრეველმა კი დასვა საკითხი ქუჩების ნუმერაციის გაკეთების და გზაჯვარედინებზე მოძრაობის აღმნიშვნელი ნიშნების სასწრაფოდ დაყენების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს 2.** განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: სონია გუგუშაშვილი - განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. მან ისაუბრა ჩატარებული და ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

(მომხსენებელი: გივი მეტრეველი - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა წარმოადგინა ონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და აღნიშნა, რომ დღეისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სოფელ ხეთოში და სოფელ ზვარეთში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ასრულებს ი.მ. „დიმიტრი გოშაძე“. სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. სოფელ ხეთოში მოეწყო გზის საყრდენი ლოდნაყარი და მავთულბადის გაბიონი, სოფელ ზვარეთში კი მიმდინარეობს გზაზე არხების მონტაჟი და გზის დატკეპნა. ამ პროექტებით წელს სრულდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

ადგილობრივი ბიუჯეტით დღეისთვის მიმდინარეობს სოფელ ზუდალში სტადიონთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც ასრულებს ი.მ. „დავით სტაჟაძე“. გაიკაფა გზაზე არსებული ბუჩქნარი, მოსწორდა და მოიხრეშა გზა, მოეწყო გრუნტის არხი. წისქვილის წყლისთვის მოეწყო არხზე გადასასვლელი ბოგირი, დამონტაჟდა 4 გარე განათების ლამპიონი, ასევე 4 ცალი პროექტორი სტადიონზე.

სოფელ გომსა და ჯინჭვისში მიმდინარეობს წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შემსრულებელი ი.მ. „ტარიელ ჩიხრაძე“. დღეისთვის თითქმის დასრულებულია გრუნტის სამუშაოები, მიმდინარეობს წყალსადენის მილების მონტაჟი, ასევე რეზერვუარების მონტაჟი.

სოფელ ქვედსა და უწერაში (ჟამიერეთის უბანი) მიმდინარეობს წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ასრულებს შ.პ.ს „ქართული ჯგუფი“. სოფელ უწერაში მოეწყო რკინა-ბეტონის რეზერვუარი, დამონტაჟდა წყლის მილები, სოფელ ქვედში მიმდინარეობს სათავე ნაგებობისა და სამარაგო რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები, ასევე გრუნტის გაჭრა მილების ჩასადებად.

სოფელ სორგითში მიმდინარეობს ეკლესიის ეზოს შემოღობვის სამუშაოები, შემსრულებელია შ.პ.ს. „ხვიჩა“. მოეწყო რკინა-ბეტონის საძირკველი, ასევე რკინა-ბეტონის კოლონები, ამჟამად მიმდინარეობს ქვის დეკორატიული გალავნის მოწყობა. მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ჯგუფი და ზედამხედველობის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებენ მიმდინარე სამუშაოების მოცულობას, ხარისხს და მიწოდების ვადებს.

შ.პ.ს. „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“ -ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით სამუშაოები მიმდინარეობს 11 ობიექტზე. აქედან სამუშაოების მიწოდების გეგმა-გრაფიკის დარღვევა აღინიშნება 4 ობიექტზე. ესენია: სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა, ქ. ონის საზოგადოებრივი სივრცეებისა და ქუჩების კეთილმოწყობა, სოფელ ღების საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია, სოფელ

მრავალძლის მისასვლელი გზის ასფალტირება. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ხარისხს, საზედამხედველო ჯგუფი ყოველდღიურად ახორციელებს მონიტორინგს თითოეულ ობიექტზე და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის მითითებებს. აღნიშნული ჯგუფის მიერ დადასტურება ხდება მხოლოდ იმ სამუშაოების, რომლებიც სამშენებლო წესებისა და ნორმების დაცვით არის შესრულებული.

**აზრი გამოთქვა** ვლადიმერ ჩლაიძემ და აღნიშნა, რომ ბარი-მრავალძლის საავტომობილო გზის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები არადაამაკმაყოფილებად იქნა შესრულებული და შედეგიც სახეზეა: გზის გარკვეული მონაკვეთები, მიუხედავად მომსახურების მცირე ვადებისა, ამორტიზირებულია და მოითხოვს სასწრაფოდ შეკეთებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა. აქედან გამომდინარე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოების ხარისხიანად შესრულების კონტროლს როგორც დამკვეთის, ისე შესაბამისი საზედამხედველო სამსახურის მიერ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

